MES 1 20 00397227

21/05/2020

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

ახალი კორონავირუსის (COVID-19) შესაძლო გავრცელების პრევენციისა და უსაფრთხოებისათვის საბჭოს სხდომა ჩატარდა ონლაინ რეჟიმში **2020 წლის 6 მაისს**.
სხდომის დაწყებამდე 10 წუთით ადრე ცენტრის ვებგვერდზე გამოქვეყნდა ბმული, საიდანაც ყველა დაინტერესებულ პირს შეეძლო, საბჭოს სხდომას ჩართვოდა ონლაინ რეჟიმში.

https://us04web.zoom.us/j/665774354?pwd=RE9Pd20xb2g2R2J5dkcvbDhKYUQ4dz09
Zoom Meeting ID: 451530

საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში-საბჭო) წევრები:

ნანა ყუფუნია - მსოფლიო ბანკის პროექტის „მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლება პროფესიულ განათლებაში“ კონსულტანტი, საბჭოს თავმჯდომარე (შემდგომში - თავმჯდომარე);
გიორგი ხიშტოვანი - ა(ა)იპ- პი ემ სი კვლევითი ცენტრის კვლევითი დირექტორი**, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;**
მარიამ ჩაგელიშვილი - პროფესიული განათლების ექსპერტი გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) პროგრამაში „კერძო სექტორის განვითარება და პროფესიული განათლება სამხრეთ კავკასიაში“, საბჭოს მდივანი;
ნინო კაკულია - სსიპ - აწარმოე საქართველოში, ინვესტორებთან ურთიერთობის მენეჯერი;
შორენა ჯაფარიძე - პროფესიული განათლების ექსპერტი;
მარიამ ქუჩულორია - ა(ა)იპ- ევროპული ბიზნეს ასოციაციის გენერალური დირექტორის მოადგილე;
ნოდარ მამინაიშვილი - ა(ა)იპ-არაფორმალური განათლების ახალგაზრდული ცენტრის „მზიანი სახლი“ გამგეობის თავმჯდომარე.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომ ადგენლები:

კახაბერ ერაძე - დირექტორის მოადგილე;
ნანი დალაქიშვილი- პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი;

ქეთევან ციხისელი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;
ლანა გაჩეჩილაძე - პროფესიული განათლების ხრისხის უზრუნველყოფის სამსახურის პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების კოორდინატორი;
ლონდა მინდიაშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ექსპერტთა კორპუსის მართვის კოორდინატორი;
ნინო სტეფანიშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მონიტორინგის კოორდინატორი;
საბა ელაშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;
მაყვალა დარსანია - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი;
მაია აბდალაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი.

საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

სსიპ - კოლეჯი „აისი“
მალხაზ ასლამაზაშვილი - დირექტორი;
დავით პაპაშვილი - დირექტორის მოადგილე;
ლელა ბერიაშვილი - ხარისხის მართვის მენეჯერი.

სსიპ - კოლეჯი „მერმისი“
ნონა ღუდუშაური - დირექტორი;
მაია დანელია - სასწავლო პროცესების მენეჯერი.

ა(ა)იპ - სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯი
მანანა მოისწრაფიშვილი - კოლეჯის დირექტორი

ექსპერტები:
შორენა ხუბუნაია,
ტიტე ბოლქვაძე,
ნინო ხაჩიძე,
თამარ ახალაძე,
ალინა კუპრავა,
გიორგი ნაჭყეპია.

საბჭოს სხდომა დაიწყო 14:00 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარე მიესალმა და გიორგობის ბრწყინვალე დღესასწაული მიულოცა საბჭოს წევრებს, ექსპერტებს, ცენტრისა და კოლეჯების წარმომადგენლებს.
განცხადება გაკეთდა იმასთან დაკავშირებით, რომ სხდომის ოქმის პროექტის მოსამზადებლად მომზადდებოდ ასხდომის აუდიო ჩანაწერი და ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. დამსწრეთა სრული შემადგენლობა დაეთანხმა აღნიშნულს. ფოტო და ვიდეო გადაღება აკრძალულია, ამიტომ, ცენტრის წარმომადგენელმა ითხოვა ფოტო გადაღების ნებართვა ცენტრის ვებგვერდსა და სოციალურ ქსელში გამოსაქვეყნებლად, რაზეც მიიღო დამსწრეთა თანხმობა.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 45-ე მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. სსიპ კოლეჯი „აისისთვის“ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების უფლების მოპოვების შესახებ საკითხის განხილვა;
2. სსიპ კოლეჯი „აისისთვის“ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების უფლების მოპოვების შესახებ საკითხის განხილვა;
3. ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯისთვის საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების უფლების მოპოვების შესახებ საკითხის განხილვა;
4. სსიპ კოლეჯი „მერმისისთვის“ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების უფლების მოპოვების შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს წევრმა, შორენა ჯაფარიძემ განცხადება გააკეთა, რომ ვერ მიიღებდა კენჭისყრაში მონაწილეობას კოლეჯების - ,,აისის“ და ,,მერმისის“ საკითხებთან დაკავშირებით, რადგან აღნიშნული კოლეჯების წარმომადგენლებისთვის გაწეული ჰქონდა კონსულტაციები. საბჭოს წევრები დაეთანხმნენ შორენა ჯაფარიძეს. გამომდინარე იქიდან, რომ მის გარეშე ქვორუმის პრობლემა იყო, საბჭოს თავმჯდომარე ინიაციატივით გამოვიდა, საკითხთა გადანაცვლება გაეკეთებინათ დღის წესრიგში და დაეწყოთ ა(ა)იპ - სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის საკითხის განხილვით. ხმათა უმრავლესობით, საბჭოს წევრები დაეთანხმნენ დღის წესრიგის ცვლილებას. თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას, რადგან სხდომაზე წარმოდგენილია საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

საბჭოს წევრებმა კენჭი უყარეს სხდომის განახლებულ დღის წესრიგს და თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო განახლებული სახით დამტკიცებული დღის წესრიგი:

1.ა(ა)იპ - სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯისთვის საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების უფლების მინიჭების საკითხის განხილვა;
2. სსიპ - კოლეჯი „აისისთვის“ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირებისუფლების მინიჭების საკითხის განხილვა;
3. სსიპ - კოლეჯი „აისისთვის“ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების უფლების მინიჭების საკითხის განხილვა;
4. სსიპ - კოლეჯი „მერმისისთვის“ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების უფლების მინიჭების საკითხის განხილვა.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, ჰქონდათ თუ არა რამე შუამდგომლობა დღის წესრიგთან დაკავშირებით. სხდომის მონაწილეებს დღის წესრიგთან დაკავშირებით შუამდგომლობა არ ჰქონდათ.

1. ა(ა)იპ - სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯისთვის საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების უფლების მინიჭების საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაწესებულების წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები - დაწესებულების მიერ წარმოდგენილი განაცხადი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წარუდგინა ექსპერტთა ჯგუფმა, კერძოდ შორენა ხუბუნაიამ (ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე) და ტიტე ბოლქვაძემ. შორენა ხუბუნაიამ ვიზიტის შედეგების შესახებ მოკლე მიმოხილვა გააკეთა. ექსპერტებმა ვიზიტი ა(ა)იპ - სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯში 2020 წლის 12 მარტს განახორციელეს. ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სარკინიგზო გადაზიდვები“ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების უფლების მინიჭების მიზნით, ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ)ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება.

ვიზიტის პერიოდში ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილ იქნა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებული შიდა მარეგულირებელი აქტები და გადამოწმდა დაწესებულების მიერ მათი შესრულების მართებულობა, რისთვისაც განხორციელდა ინტერვიუ პასუხისმგებელ პირებთან და გამოთხოვილ იქნა შესაბამისი დოკუმენტაცია. ექსპერტთა ჯგუფის მიერ განხორციელდა ინტერვიუ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ინტეგრირებული მოდულების განხორციელებაში ჩართულ პროფესიული განათლების მასწავლებლებთან. ექსპერტთა ჯგუფის მიერ დათვალიერებულ იქნა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და რესურსები.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულებაში ხარვეზი არ დაფიქსირებულა. დასკვნაში კომპონენტების შეფასებები ძირითადად იყო „სრულად შესაბამისი“. მხოლოდ ორი შემთხვევა იყო "მეტწილად შესაბამისობის", კერძოდ, მატერიალური შესყიდვების საკითხი. დაწესებულებას დაგეგმილი ჰქონდა ასაწყობი მოდელების ყიდვა. ეს კომპონენტი გათვალისწინებული იყო მეცნიერებისა და ტექნოლოგიების მოდულში, ბიოლოგიის მიმართულებით. დაწესებულებას ტენდერის გზით უკვე შერჩეული ჰყავდა კომპანია და ხელშეკრულების გაფორმების პროცესი მიმდინარეობდა. შესაბამისად, არსებული გარემოების გათვალისწინებით ექსპერტთა ჯგუფმა გადაწყვიტა, კომპონენტი შეეფასებინა, როგორც „მეტწილად შესაბამისი“, რადგან პროცესი დასრულებული არ იყო. მეორე საკითხი ეხებოდა საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების სიტემას, რაც ვერიფიკაციების მექანიზმის დაზუსტებას ითვალისწინებდა და ამასთან დაკავშირებით მიცემული იქნა რეკომენდაცია. მხოლოდ აღნიშნული ორი საკითხი იყო, მატერიალური და ვერიფიკაციის, სადაც პორიცესი

დასრულებული არ იყოს, რაც აისახა დასკვნაში და ექსპერტების მიერ გაცემულ შესაბამის რეკომენდაციებში.

რეკომენდაციების წარმოდგენამდე ექსპერტმა ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ დაწესებულებაში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ბოლო ვიზიტი განხორციელდა 2019 წლის 9 სექტემბერს და დაწესებულებას მიეცა 8 რეკომენდაცია. რეკომენდაციები ტექნიკური და შინაარსობრივი ხასიათის იყო. დაწესებულებამ უმეტესობა მათგანი გაითვალისწინა და წარმოადგინა შესაბამისი ცვლილებების განხორციელების თაობაზე კოლეჯის დირექტორის მიერ გამოცემული ინდივიდუალური - სამართლებრივი აქტები. ექსპერტთა ჯგუფი დაინტერესდა „სარკინიგზო გადაზიდვების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების საქმის წარმოების ასავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ გამოკვეთილი მიგნებებით და გაეცნო დასკვნას (20-21 აგვისტო, 2018 წელი), სადაც მოცემული იყო პროგრამის შინაარსთან დაკავშირებული ერთი რეკომენდაცია. რეკომენდაცია ეხებოდა მოდულების მესამე ნაწილში მათი განხორციელების ადგილის მითითებას და სწავლის შედეგების შეფასების მიდგომების განსაზღვრას. დაწესებულებამ აღნიშნული რეკომენდაცია არ გაითვალისწინა. კოლეჯის დირექტორმა ინტერვიურებისას აღნიშნა, რომ პროგრამა ხორციელდება დუალურად, შესაბამისად, პროგრამის სასწავლო გეგმაში გამიჯნულია მოდულების განხორციელების ადგილები, იგივე ინფორმაცია აღნიშნულია სასწავლო საწარმოსთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში და შესაბამისი მოდულების განმახორციელებელი პირების მიერ შემუშავებულ სასწავლო გეგმებში, შესაბამისად, მოდულებში დამატებითი ინფორმაციის აუცილებლობა არ დგას. იგივე არგუმენტით აიხსნა მოდულის სწავლის შედეგების შეფასების მიდგომების დაგეგმვის საკითხი, რაც კოლეჯის წარმომადგენლის განცხადებით, მოდულის მესამე ნაწილში ისედაც მოცემულია.

ექსპერტების მიერ გაცემულ იქნა რამდენიმე რეკომენდაცია, კერძოდ:
კომპონენტი 2.1
დაწესებულების მიერ შემუშავებულია ექვსწლიანი სტრატეგიული გეგმა, რაც რეკომენდებულია, შესაბამისობაში მოვიდეს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების პირველი სტანდარტის მოთხოვნებთან.
კომპონენტი 2.4

- რეკომენდებულია, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების პროცესებზე დაყრდნობით დაწესებულებამ განსაზღვროს შეფასების სისტემის თითოეული პროცედურა. კერძოდ, მასწავლებლის მიერ წარმოდგენილი შეფასების ინსტრუმენტების პროექტის ვალიდაცია რეკომენდებულია, განხორციელდეს დარგის სხვა სპეციალისტების ჩართულობით, დაწესებულების სასწავლო პროცესის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი პირების ორგანიზებით; დაიგეგმოს შეფასების განხორციელების პროცესი, დამსწრე პირები და სხვა, იმგვარად, რომ შენარჩუნდეს შეფასების პროცესის მიმართ მაღალი სანდოობა და სხვა;
- რეკომენდებულია, შიდა ვერიფიკაციის ჯგუფმა განახორციელოს შეფასების ინსტრუმენტებისა და მტკიცებულებების ვერიფიკაცია შეფასების პროცესის დასრულებიდან გონივრულ ვადაში, რისთვისაც დაწესებულების მიერ რეკომენდებულია, გაიწეროს შემდეგი პროცესები: ვერიფიკაციის ჯგუფის შექმნის წესი, რომელიც გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს და ჯგუფში ისეთი პირების ჩართულობას, ვინც მონაწილეობდა შეფასების ინსტრუმენტების შექმნის ან მათი ვალიდაციის პროცესში; ვერიფიკაციის გახორციელების პერიოდულობა; ვერიფიკაციისას ჯგუფის სამუშაო ფორმები; ვერიფიკაციის შედეგებზე რეაგირების მექანიზმები და სხვა.

ექსპერტებმა განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილეს ადამიანურ რესურსზე, ადმინისტრაციულ ნაწილზე, პროფესიულ მასწავლებლებსა და მენეჯმენტზე, რომელიც დაწესებულების საუკეთესო და მნიშვნელოვანი მხარეა.
შორენა ხუბუნაიამ საბჭოზე წარმოადგინა ფოტომასალა: B გარემო, A C გარემო, სადაც ხორციელდება ინტეგრირებული ნაწილი, ბიბლიოთეკა, ადაპტირებული გარემო, სველი წერტილები.

საბჭოს თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა ექსპერტს დეტალური და ამომწურავი პრეზენტაციისათვის და მოუსმინეს დაწესებულების წარმომადგენელს, მანანა მოისწრაფიშვილს. მან აღნიშნა, რომ სტრატეგიული გეგმის მონიტორინგს ისინი დიდი ხანია აწარმოებენ. ჩვეულებრივ, ექვს თვეში ერთხელ. გარდა დამფუძნებლებისა, იწვევენ გარეშე პირებს, მათ შორის, ცენტრის, სამინისტროს, ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლებს, სხვადასხვა პარტნიორ ორგანიზაციებს და ნებისმიერ დაინტერესებულ პირებს. უკვე ერთი წელია აწარმოებენ KPI (Key Performance Indicators) სისტემის მიხედვით შეფასებას. მუდმივად ხდება ხარისხის კონტროლი, საქმის კურსში არიან და მისდევენ იმ სიახლეებს, რასაც სამინისტრო, სახელმწიფო პოლიტიკა სთავაზობთ პროფესიულ განათლებში. მან აღნიშნა, რომ სტრატეგიული განვითარების 7 წლიანი გეგმა შემუშავებული ჰქონდათ, თუმცა სანამ არ მიიღებდნენ ოფიციალურ დოკუმენტს, რომ საჭირო იყო 7 წლიან გეგმაზე გადასვლა, ვერ შეძლებდნენ საჯარო განხილვის მოწყობას და ამიტომ ვერ მოესწრო. შემდეგ კოვიდ-19-ის მიერ გამოწვეული კრიზისის გამო პრობლემები შეიქმნა. მისი თქმით, სამოქმედო გეგმა მზად არის, მაგრამ დამტკიცებული არ არის. რაცშეეხება საჯარო განხილვის ჩატარებას ონლაინ, კოლეჯის ადმინისტრაცია ამ ეტაპზე თავს იკავებს. შესყიდვების ნაწილთან დაკავშირებით პროცესი იყო შესული იმ პირობებში, რომ იმ დღესვე შეეძლოთ გაეფორმებინათ ხელშეკრულება, უბრალოდ ტექნიკურად ვერ მოხერხდა: კომპანიის დირექტორს წვდომა არ ჰქონდა ინტერნეტთან და ვერ შეძლო ელექტრონულად ხელმოწერა. შესყიდვები დასრულებულია და ეს ნივთები - მულაჟები უკვე კოლეჯშია. აგრეთვე მან დაამატა, რომ ფინანსურად ეს განხორციელდა სამინისტროს მიზნობრივი დაფინანსებით, ინტეგრირებული სწავლების მხარდაჭერის ეგიდით. 24 900 ლარამდე გადარიცხული იქნა და ყველა საჭირო ინვენტარი, რაც საჭიროა მეცნიერებისა და ტექნოლოგიების მოდულისათვის, არსებობს. რაც შეეხება პედაგოგებს, მათ გააფორმეს ხელშეკრულებები პროფესიულ მასწავლებლებთან „სარკინიგზო გადაზიდვის“ პროფესიული მასწავლებლები დიდი ინტერესით არიან ჩართულები ამ პროცესში. ისინი ამჟამადაც ინტენსიურად მუშაობენ სასწავლო თემატიკაზე დისტანციურად. რაც შეეხება ვერიფიკაციას და ვალიდაციის პროცესს, ეს პროცესი ინტენსიურად მიმდინარეობს მათ კოლეჯში, თუმცა ეთანხმება ექსპერტს, რომ დასრულებული არ იყო ეს პროცესი, თორემ მათ ისაუბრეს ხარისხის მენეჯერის ფუნქციებზე და მისი ფუნქციების გამიჯვნის საკითხზე. მან დარწმუნებით განაცხადა, რომ სასწავლო პროცესში ვერიფიკაცია-ვალიდაცია არის მაღალ დონეზე. მუდმივ კონტროლზე აქვთ შეფასების ინსტრუმენტებიც და პროცესიც. უკვე გაიმიჯნა ფუნქციები დოკუმენტურ დონეზე და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ფუნქციებიდან გამოვიდა ზედმეტი ფუნქციები. დარგის წარმომადგენლების ჩართულობა მათთან მუდმივად არის. დაახლოებით ექვსი თვის მერე, კონკრეტული მოდულის დამთავრების შემდეგ, იბარებენ პროგრამის ხელმძღვანელებს, პროფესიული მოდულების წამყვან პედაგოგებს და საქართველოს რკინიგზის წარმოების წამყვან წარმომადგენლებს და განიხილავენ მოდულებში წარმოქმნილ სირთულეებს. მისი თქმით, ინტეგრირებული პროგრამის განხორციელება კოლეჯში წარმატებული და ერთ-ერთი მნიშვნელოვანი იქნება მათთვის.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, 7 წლიან გეგმასთან დაკავშირებით. როგორც მანანა მოისწრაფიშვილმა აღნიშნა, თავს იკავებენ კოვიდ-19-ის გამო. ნანა ყუფუნიამ იკითხა, რატომ უშლის ეს ხელს ცვლილებების შეტანას და დამტკიცებას. ცვლილებების შეტანა არ იქნება პრობლემური, სჯობს გეგმა დამტკიცებული იყოს. ეს მისი აზრია და აინტერესებს

დაწესებულების წარმომადგენლის კომენტარი. მისი მეორე კითხვა შესყიდვებს ეხებოდა. შესყიდვებთან დაკავშირებით ითქვა, რომ პროცესი უკვე დასრულებულია და ადგილზეა მულაჟები. როდესაც ექსპერტი იყო ვიზიტზე, იყო "მეტწილი შესაბამისობა" და ახლა "სრული შესაბამისობაა". მესამე კითხვა ეხება ვალიდაცია-ვერიფიკაციას. როგორ ფიქრობს დაწესებულება, ახლა შესაბამისობა სრული აქვთ? და თუ არ აქვთ, რა ნაწილია დარჩენილი და რა დრო დაჭირდება, რომ მოიყვანონ სრულად წესრიგში.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ რაც შეეხება 7 წლიანი გეგმის დამტკიცებას, მზად არიან. თუმცა ფიქრობს, 22 მაისის შემდეგ, როცა მოიხსნება საგანგებო სიტუაციის რეჟიმი,შეძლებენ უახლოეს მომავალში განხილვის მოწყობას. გარდა ამისა, ივლისში მათ დამფუძნებელთანაც შეეძლებათ განხილვა. გეგმა მზად არის და არ დასჭირდება ორ თვეზე მეტი. რაც შეეხება აღჭურვილობის საკითხს, მათ ადგილზე აქვთ მულაჟები. მისი თქმით, 29 აპრილს მიღება-ჩაბარების აქტზე ხელი აქვთ მოწერილი. როგორც მანანა მოისწრაფიშვილმა განაცხადა, შეუძლია, აუდიტორია აჩვენოს საბჭოს, სადაც დალაგებულია ეს მულაჟები. მან ასევე აღნიშნა, რომ ვერიფიკაცია-ვალიდაციასთან დაკავშირებით ცვლილებები უკვე სრულ შესაბამისობაშია. ცვლილებები განხორციელებულია და იმ ცვლილებების შესაბამისად, უკვე მუშაობს ჯგუფები დისტანციურად, დასრულებულია შესყიდვებიც და ვერიფიკაცია-ვალიდაციაც.

შორენა ხუბუნაიამ გააკეთა კომენტარი, რომ მხოლოდ პროცედურული საკითხები იყო დარჩენილი. პირადად თვითონ არ აყენებს ეჭვქვეშ, რომ დაწესებულებაში ეს საკითხი მოწესრიგებულია. მტკიცებულებები, რაც ნახეს, და ინტერვიუ აძლევთ ამის თქმის საფუძველს. დარგის ექსპერტმა ტიტე ბოლქვაძემაც დაამატა, რომ ის, როგორც ამ პროგრამის, ისე არაინტეგრირებული პროგრამის დამატებაზე ექსპერტის სტატუსით იმყოფებოდა ვიზიტზე დაწესებულებაში და თვლის, რომ ყოველ ჯერზე ვითარდება და წინ მიდის ეს კოლეჯი. მან წარმატება უსურვა პროგრამას.
რადგან კითხვები აღარ დასმულა, საბჭოს წევრებმა ისარგებლეს სათათბირო დროით, რის შემდეგაც საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, რომ საბჭომ იმსჯელა, გაიარა კონსულტაციები ცენტრთან და გადაწყვიტა შემდეგი: შესყიდვების ნაწილში, მეორე კომპონენტში განსაზღვრული "მეტწილი შესაბამისობა" საბჭოზე წარმოდგენილი ფოტომასალის და მტკიცებულებების საფუძველზე, შეიძლება ჩაითვალოს "სრულ შესაბამისობად". გამომდინარე იქიდან, რომ საბჭოს არ აქვს უფლებამოსილება, მიიღოს დამატებითი დოკუმენტაცია ვიზიტის შემდეგ, ჩაითვალა, რომ ეს არ არის დამატებითი დოკუმენტაციის წარმოდგენა, არამედ იყო დაწყებული პროცესის დასრულება. შესყიდვების პროცესი მიყვანილ იქნა ბოლომდე. ექსპერტმაც დაადასტურა ზემოთქმულის სინამდვილე და საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი -ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯს(ს/კ: 402019917) მიენიჭოს უფლება, განახორციელოს საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - სარკინიგზო გადაზიდვები ინტეგრირებული ზოგადი მოდულებით.
ასევე დააზუსტა, რომ საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის მეორე კომპონენტის - 2.2. - ნაწილში შესყიდვების კუთხით შესაბამისობა ჩაითვალოს სრულად. ხოლო ავტორიზაციის ექსპერტთა დებულების 51-ე მუხლის მე-10-ე პუნქტის შესაბამისად, საბჭო შუამდგომლობით მიმართავს ცენტრს, რომ ვალიდაცია-ვერიფიკაციის, საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის მესამე - 2.3. - კომპონენტის ფარგლებში და ასევე 7 წლიანი სტრატეგიული გეგმის ნაწილში გაცემულ რეკომენდაციებთან დაკავშირებით განახორციელოს მონიტორინგი გადაწყვეტილების მიღებიდან ორი თვის ვადაში, დოკუმენტაციის გამოთხოვის გზით.

საბჭოზე დადასტურებული იქნა პროგრამის პარამეტრები, რაც დაადასტურა ექსპერტმა და დაწესებულებამ. ასევე იყო წინადადება, საბჭოს სხდომის დღე, 2020 წლის 6 მაისი

განისაზღვროს გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად, რაზეც საბჭოს წევრებმა თანხმობა განაცხადეს.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
ა(ა)იპ- სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯს (ს/კ: 402019917) მიენიჭოს უფლება, განახორციელოს დანართით განსაზღვრული „სარკინიგზო გადაზიდვების“ საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (დანართი1).
გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2020 წლის 6 მაისი.
მეორე საკითხზე გადასვლამდე საბჭოს თავმჯდომარემ დააზუსტა, იყო თუ არა ქვორუმი. დასტურის მიღების შემდეგ, საბჭო გადავიდა შემდეგი საკითხის განხილვაზე. საბჭოს თავმჯდომარის ინიციატივა იყო, რომ შემდეგი საკითხები ერთად განეხილათ, რადგან ერთი და იგივე კოლეჯი იყო და ერთი და იგივე წარმდგენები ჰყავდა. ცენტრის წარმომადგენელმაც დაადასტურა, რომ პროგრამაც ერთი და იგივეა, განხორციელების ადგილია სხვა. წარმოება ორი იყო, გადაწყვეტილებაც ორი მიიღება ცალ-ცალკე და აისახება, სად განხორციელდება და ამით იქნება განსხვავებული. ასე რომ, შესაძლებელი იყო ამ ორი საკითხის ერთად განხილვა, რაზეც საბჭო წევრები ერთხმად დათანხმდნენ.

2. სსიპ - კოლეჯი „აისისთვის“ "სატყეო საქმის" საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების უფლების მინიჭების საკითხის განხილვა (განხორციელების ადგილი - გურჯაანის მუნიციპალიტეტი, სოფელი კაჭრეთი)

3. სსიპ - კოლეჯი „აისისთვის“ " სატყეო საქმის" საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების უფლების მინიჭების საკითხის განხილვა (განხორციელების ადგილი - ლაგოდეხის მუნიციპალოტეტი, სოფელი შრომა)

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაწესებულების წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები - დაწესებულების მიერ წარმოდგენილი განაცხადი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წარუდგინა ექსპერტთა ჯგუფმა: ნინო ხაჩიძემ (ჯგუფის თავმჯდომარე), თამარ ახალაძემ.
ექსპერტმა ნინო ხაჩიძემ საბჭოზე წარმოადგინა ექსპერტთა დასკვნა. მან აღნიშნა, რომ, როგორც წესი, პირველ ეტაპზე დაწესებულებამ წარმოადგინა განაცხადი, შემდგომ ცენტრის დირექტორის ბრძანებით შეიქმნა ექსპერტთა ჯგუფი, რომლებმაც შეიმუშავეს დღის წესრგი, განხორციელდა ვიზიტი და ბოლოს შემუშავდა დასკვნები.

ვიზიტის მიზანი იყო საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის(პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შექმნილი „სატყეო საქმის“ საგანმანათლებლო პროგრამის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტთან შესაბამისობის შემოწმება. ვიზიტი განხორციელდა ორ მისამართზე. გამომდინარე იქიდან, რომ დაწესებულება ერთი პროგრამის ფარგლებში ორ მისამართზე ითხოვდა პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებას, ვიზიტი განხორციელდა 12 მარტს გურჯაანის რაიონის სოფელ კაჭრეთში, ხოლო 13 მარტს - ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში, სოფელ შრომაში.

ექსპერტმა თავიდანვე აღნიშნა, რომ ხარვეზები არ გამოვლენილა და სანამ რეკომენდაციებზე გადავიდოდა, მან ზოგადად მიმოიხილა პროგრამა. თავდაპირველად აღწერა ის მიზანშეწონილობა და დასაბუთება, რასაც დაეყრდნო კოლეჯი პროგრამის შემუშავებისას. მისი თქმით, სსიპ- კოლეჯი “აისი“ 2017 წლიდან ახორციელებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას „სატყეო საქმე“. 2019 წელს კოლეჯმა ასევე განახორციელა კვლევა სატყეო საქმის პროფესიაზე მოთხოვნის შესწავლის მიზნით. კვლევა ჩატარდა გურჯაანისა და ლაგოდეხის მუნიციპალიტეტების თვითმმართველობებისა და ადგილობრივი ერთეულების მერების წარმომადგენლებთან და ამავე მუნიციპალიტეტების საჯარო სკოლის მოსწავლეებთან. კვლევის მიზანი იყო „სატყეო საქმის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნის შესწავლა კახეთის რეგიონში. კვლევის ფარგლებში გამოყენებული იყო რაოდენობრივი კვლევის მეთოდი, ხოლო მონაცემთა შეგროვების მეთოდად - გამოკითხვა ინტერვიუს ფორმით. გურჯაანის მუნიციპალიტეტში გამოიკითხა 100 რესპონდენტი, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში -80. გამოკითხვა ჩატარდა სტრუქტურირებული კითხვარის მეშვეობით, რომელმაც კოლეჯს რაოდენობრივი ინფორმაციის მოპოვების, გაზომვის და ანალიზის შესაძლებლობა მისცა. კვლევის შედეგების მიხედვით, გამოკითხული თვითმმართველობის წარმომადგენელთა უმრავლესობამ (83%) აღნიშნა, რომ სატყეო საქმის სპეციალისტების მომზადება კახეთის რეგიონისათვის ძალიან მნიშვნელოვანია, გამოკითხულ მოსწავლეთა 98% მიიჩნევდა, რომ სატყეო საქმის პროფესია მათთვის ძალიან საინტერესოა და დიდი სიამოვნებით მიიღებენ განათლებას ამ მიმართულებით. როგორც ცნობილია, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ინიციატივით, 2020 წლიდან ცხრაკლასდამთავრებულ მოსწავლეებს ეძლევათ შესაძლებლობა, სკოლის ატესტატთან გათანაბრებული პროფესიული განათლების დიპლომიც მიიღონ. აღნიშული ინფორმაცია მისაღები აღმოჩნდა გამოკითხული მოსწავლეების 98%-სთვის. შესაბამისად, დაწესებულებამ გადაწყვიტა „სატყეო საქმის“ პროგრამაში განახორციელოს საშუალო განათლების ზოგადი მოდულების ინტეგრირება: კომუნიკაცია ქართულ ენაზე, მათემატიკა, მეცნიერება და ტექნოლოგიები, მეწარმეობა და მოქალაქეობა. სულ 60 კრედიტი. პროგრამა ზოგადად არის 48 კრედიტიანი და ამას ემატება ზოგადი მოდულები, რომლებშიც ინტეგრირებულია საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები. პროგრამის სრული მოცულობა ამ შემთხვევაში არის 101 კრედიტი, ხოლო არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის -131 კრედიტი. ასევე დაწესებულებამ, იმისთვის, რომ მოდულების ინტეგრირება განეხორციელებინა, ცვლილებები შეიტანა დირექტორის ბრძანებაში 2020 წლის 2 მარტს. აქედან გამომდინარე, პროგრამაში განსაზღვრულია სახელწოდება, მიზნები, კვალიფიკაცია და სწავლის შედეგები. სწავლის ხანგრძლივობა, მეთოდები და მიზნის მისაღწევად სასწავლო გეგმა გაწერილია სამ სასწავლო წელზე. დაშვების წინაპირობები გათვალისწინებულია. თუმცა რამდენიმე მოდულს ტექნიკურად ჩარჩენილი ჰქონდა ზოგადი განათლება დაშვების წინაპირობად. დაწესებულების წარმომადგენლების მხრიდან ითქვა, რომ ეს იყო ტექნიკური ხარვეზი, რომელიც მათ ვიზიტის პერიოდშივე გამოასწორეს სასწავლო გეგმაში და შესაბამისობაში მოიყვანეს ის კანონმდებლობასთან.

ექსპერტებმა ნახეს საგანმანათლენლო რესურსი, რომელიც პროგრამის განხორციელების დროს გამოიყენება და ეს რესურსი არის რელევანტური მოდულებთან მიმართებით. რესურსი არის როგორც ბიბლიოთეკის, ასევე ელექტრონული ფორმით დაცული. დაწესებულებაში არსებობს როგორც მატერიალური რესურსი, ისე მათი შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

ექსპერტმა წარმოადგინა კოლეჯში გადაღებული ფოტომასალა, რათა საბჭოს წევრებს დათვალიერება შეძლებოდათ.
შემდეგ ექსპერტმა ისაუბრა იმ რეკომენდაციებზე, რაც მიეცა დაწესებულებას:
ვიზიტისას ექსპერტთა ჯგუფმა უზრუნველყო „სატყეო საქმის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ დაწესებულების დასაბუთების შეფასება და შესაბამისობის დადგენა მისიასთან და სტრატეგიული განვითარების გეგმასთან. 2014-2020 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის მიერ, ასახავს პროფესიული განათლების სისტემაში არსებულ მდგომარეობას, მხარის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტებს, სტრატეგიულ მიზნებს, აქტივობებს, მოსალოდნელ შედეგებს, ხედვასა და მისიას. სტრატეგიული განვითარების გეგმა დაფუძნებულია SWOT ანალიზზე. ახალი სტანდარტების მოთხოვნიდან გამომდინარე, დაწესებულებაში მოქმედი სტრატეგიული გეგმა არ მოიცავს ამოცანებს, განხორციელების ვადებს და შესაბამის ინდიკატორებს. თუმცა ვიზიტის დროს კოლეჯმა წარმოადგინა დირექტორის ბრძანება, რომლითაც შექმნილია სტრატეგიული გეგმის ჯგუფი. მას დავალებული აქვს ახალი სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავება, რომელიც უნდა იყოს 7 წლიანი და შემუშავებული უნდა ყოფილიყო მიმდინარე წლის პირველ მაისამდე. სტრატეგიული გეგმის შემუშავებისას ჯგუფი უნდა დაყრდნობოდა სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიას. აღნიშნულ მეთოდოლოგიაში გაწერილია ის საკითხები, რომელიც პასუხობს ამ სტანდარტის მოთხოვნებს. შესაბამისად, თუ ჯგუფმა აღნიშნული მეთოდოლოგიით ისარგებლა სტრატეგიული გეგმის შემუშავებისას, ის უპასუხებდა აღნიშნული სტანდარტის მოთხოვნებს. ასევე შეფასდა დაწესებულების სამოქმედო გეგმა. სამოქმედო გეგმა დამტკიცებულია დირექტორის 2020 წლის 31 იანვრის ბრძანებით, რომელშიც გაწერილია მიზნები, დაგეგმილი აქტივობები, განხორციელების პერიოდი, განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი/პირები და შესრულების ინდიკატორები. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სამოქმედო გეგმა შეფასდა ახალ სტანდარტებთან მიმართებით და გამოიკვეთა შემდეგი:
სასურველია, დაგეგმილი აქტივობების განსახორციელებლად გათვალისწინებული იყოს ყველა საჭირო რესურსი. დაწესებულების მიერ გაწერილია მხოლოდ პასუხისმგებელი პირები, საჭირო ადამიანური რესურსი, თუმცა აქტივობების განხორციელება საჭიროებს მატერიალური რესურსის არსებობასაც.
დაწესებულების მიერ შემუშავებული სამოქმედო გეგმა ერთ-ერთ დაგეგმილ აქტივობად ითვალისწინებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში ზოგადი განათლების კომპონენტის ინტეგრირებას. ასევე, სამოქმედო გეგმაში დამატებით აქტივობად გათვალისწინებულია „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირება“. შესაბამისად, სასურველია, გასწორდეს სამოქმედო გეგმაში არსებული ტექნიკური ხარვეზი.
სასურველია, სამოქმედო გეგმა ითვალისწინებდეს გაზომვად შესრულების ინდიკატორებს. მაგალითად, სახელოსნოების მშენებლობა არის ერთ-ერთი აქტივობა, რომლის ინდიკატორს წარმოადგენს „აშენებულია სახელოსნოები“. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, დაწესებულების მიერ გაწერილი იყოს გაზომვადი შესრულების ინდიკატორები, რომელიც სამიზნე ნიშნულიდან გამომდინარე, კოლეჯს მისცემს შესაძლებლობას, შეაფასოს აქტივობის მიღწევა.
შემდეგ ექსპერტმა ისაუბრა იმ რეკომენდაციებზე, რომლებიც პროგრამის მიმართულებით გაიცა:

- სასურველია, ინტეგრირებული მოდულების პედაგოგებმა გაიარონ ტრენინგები, სადაც აქცენტი იქნება გაკეთებული ახალი ინვენტარის და ხელსაწყოების ინსტრუქციებზე, პრაქტიკული დავალებების შინაარსზე, მოდულური პროგრამების პრაქტიკული ნაწილის მნიშვნელობაზე და ა.შ. ასევე, მნიშვნელოვანია, პედაგოგს გააზრებული ჰქონდეს ძირითად სპეციალობასა და პროგრამაში ინტეგრირებულ მოდულებს შორის ურთიერთკავშირის დანახვისა და გაანალიზების აუცილებლობა.
- სასურველია, დაწესებულების მიერ გარკვეული პერიოდულობით შემუშავდეს კვლევის ანგარიშები, რომელიც დაეფუძნება კვლევის მეთოდოლოგიას და მასში გაწერილი იქნება როგორც კვლევის მიზანი, სამიზნე ჯგუფი, მონაცემთა შეგროვების მეთოდები, ასევე მოხდება მიღებულ მონაცემთა ანალიზი, ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთება ძირითადი მიგნებები და გაიცემა რეკომენდაციები. აქიდან გამომდინარე, სასურველია, გადაიხედოს ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმებიც. აღნიშნული კოლეჯს უფრო მეტად მისცემს პროგრამების განვითარების შესაძლებლობას.
- 2019 წლის 21 ოქტომბრის N02-01-118 ბრძანების საფუძველზე დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, მასში ცვლილებების შეტანის წესითა და დამტკიცების პროცედურით ირკვევა, რომ სასწავლო გეგმით სტუდენტის კვირეული დატვირთვა არ უნდა იყოს 30 საათზე ნაკლები და 40 საათზე მეტი. „სატყეო საქმის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით პროფესიულ სტუდენტთა კვირეული დატვირთვა დამოუკიდებელი საათების გათვალისწინებით შეადგენს დაახლოებით 25 საათს. შესაბამისად, სასურველია, დაწესებულების მიერ შემუშავებულ რეგულაციაში პროფესიული სტუდენტის კვირეული დატვირთვის ქვედა ზღვარი გათვალისწინებული არ იყოს, გამომდინარე საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებიდანაც, რომლებშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები.
- სასურველია, დაწესებულების მიერ შემუშავებულ რეგულაციებში შევიდეს გარკვეული ცვლილება და ისინი შესაბამისობაში მოვიდეს მინისტრის ბრძანებებთან. მაგალითად, მარეგულირებელი წესით ირკვევა, რომ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მინიმუმ 10% განსაზღვრულია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტებისთვის, როდესაც პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულებით, სსსმ პირთა კვოტა თითოეულ პროგრამაზე განსაზღვრულია სრული რაოდენობის 15 პროცენტით. აღნიშნულ დებულებაში ცვლილება განხორციელებულია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 26 სექტემბრის N203/ნ ბრძანებით. ასევე, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი მოიცავს ისეთ საკითხებს, რომლებიც დაწესებულების მიერ ცალკე მარეგულირებელი დოკუმენტითაც რეგულირდება. აღნიშნული დოკუმენტები არ ავსებენ ერთმანეთს და ძირითადად ერთნაირია. შესაბამისად, სასურველია, რეგულაციები გადაიხედოს და განხორციელდეს ცვლილებები.
- სასურველია, დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი ფარავდეს ისეთ საკითხებს, როგორიცაა: შეფასების ინსტრუმენტისა და მტკიცებულებების მიმართ არსებული მოთხოვნები, შეფასების შედეგების გამოქვეყნების/პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირებასთან დაკავშირებული საკითხები, მტკიცებულებების მოპოვებისა და შენახვის წესი. ასევე, განმეორებით შეფასებასთან დაკავშირებით განსაზღვრული იყოს, რომელი ინსტრუმენტი გამოიყენება ამ დროს (უკვე გამოყენებული, თუ ახალი), რა ვადებში უნდა მოხდეს ნამუშევრების გასწორება და შეფასება და სხვა. სასურველია, შეფასების მექანიზმები აწესრიგებდეს ისეთ საკითხებს, როგორიცაა: შეფასების ინსტრუმენტების შექმნა (როდის იქმნება, ვის მიერ), განმეორებითი შეფასებისთვის როდის იქმნება ინსტრუმენტი, როდის და როგორ ხდება ინსტრუმენტების გადამოწმება (შეფასებამდე რამდენი ხნით ადრე აწვდის შემმოწმებელს, როგორ იღებს უკუკავშირს და სხვა), რამდენი ხნით ადრე იგებს სტუდენტი შეფასების

შესახებ, როდის ეცნობა შეფასების სქემას, როგორ ხდება მტკიცებულებების მოპოვება და შენახვა (ვინ მოიპოვებს, ვისთან ინახება, ვის გადასცემენ შემდეგომ და სხვა).

მიზანშეწონილია, შეფასების უწყისები ინახებოდეს უვადოდ, ხოლო შეფასებასთან დაკავშირებული მტკიცებულებები - უწყისის გაფორმებიდან სამი წლის ვადით. სამი წლის შემდეგ მტკიცებულებები შეიძლება განკარგულ იქნას დაწესებულების მიერ დადგენილი წესით.

სტანდარტის მთლიანი შეფასებაა: „ მეტწილად შესაბამისობაშია“, თითოეული კომპონენტის მიხედვით შეფასებები შემდეგია: პირველი და მეორე - კომპონენტი - „სრულ შესაბამისობაშია“, მესამე და მეოთხე კომპონენტი - „მეტწილად შესაბამისობაშია“. დაწესებულებას კაჭრეთისთვის მოთხოვნილი აქვს სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა - 30. სოფელი შრომისთვის - ასევე 30, რასაც ეთანხმება ექსპერტთა ჯგუფი.

თამარ ახალაძე, როგორც დარგის ექსპერტი, ადასტურებს კოლეჯის მზაობას ინტეგრირებული პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებით ორივე ფილიალში.

ამის შემდეგ მოუსმინეს დაწესებულების წარმომადგენელს, მალხაზ ასლამაზაშვილს. მან განაცხადა, რომ კოლეჯი ეთანხმება რეკომენდაციებს. იმის გამო, რომ ახალი სტანდარტებია, გარკვეულწილად რეკომენდაციები მისაღებია, თუმცა რეკომენდაციათა დიდი ნაწილი ფაქტიურად შესრულებულია. ვებგვერდზე უკვე დევს ახალი სტრატეგიული გეგმა, მათ შორის, ერთწლიანი სამოქმედო გეგმაც, რომელიც აბსოლუტურად მორგებულია ახალ სტანდარტებზე. სტრატეგიული განვითარების გეგმის სამუშაო ვერსია განხილვის რეჟიმშია და შემდგომ მოხდება მისი დამტკიცება. რაც შეეხება მარეგულირებელ დოკუმენტებს, იქაც გარკვეულწილად იყო რაღაც ხარვეზები, თუმცა უკვე ყველაფერი პრაქტიკულად აღმოფხვრილია და ახალი მარეგულირებელი წესიც მალე დამტკიცდება და განთავსდება ვებგვერდზე. რაც შეეხება უშუალოდ ამ საშუალო განათლების კომპონენტის ინტეგრირების ნაწილს, კოლეჯს აქვს ამის გამოცდილება, გაეროს განვითარების პროგრამის ფარგლებში 2016, 2019 წლებში პროფესიული დაწესებულების ერთ-ერთ მათ ფილიალში პილოტირების რეჟიმში განხორციელდა ინტეგრირებული პროგრამა. გარდა ამისა, მასწავლებლებმა გაიარეს სამინისტროს მიერ დაგეგმილი ტრეინინგები. ტექნიკის მოხმარების ნაწილში, ფიქრობს, რომ თვითონ დაატრენინგებენ პროფესიულ მასწავლებლებს. პანდემიის შექმნა გარკვეული პრობლემები. მათ მიმწოდებლისგან მიიღეს მომხმარებლის სრული პაკეტი, თუ როგორ უნდა მოიხმარონ მიწოდებული ტექნიკა და ადგილობრივი ტრენინგების საფუძველზე ეს პრობლემა აღმოფხვრილი იქნება უახლოეს მომავალში.

მარიამ ჩაგელიშვილი დაინტერესედა და იკითხა, ის რეკომენდაციები, რაც მიეცათ, სტრატეგიულ გეგმასა და სამოქმედო გეგმასთან დაკავშირებით, კერძოდ კი გაზომვადი ინდიკატორების შემუშავების თვალსაზრით, გათვალისწინებულია თუ არა, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ მათ გაითვალისწინეს აღნიშნული რეკომენდაციები და მათ მიერ ვებგვერდზე ატვირთულ დოკუმენტებში ამის ნახვა შესაძლებელია.

საბჭოს თავმჯდომარემ იკითხა, სხვა პროგრამების დამატებას ხომ არ გეგმავდნენ მომავალში - რაზეც დაწესებულების წარმომადგენლმა უპასუხა, რომ ისინი სულ ამ რეჟიმში არიან. 18 ექნებათ მოკლევადიანი პროგრამა. 10 პროგრამის დამატებას აპირებენ მიმდინარე წელს. ორი იქნება ინტეგრირებული, მათ შორის, ერთი ხილ-ბოსტნეულის გადამუშავება. ასევე ახალ, შედუღების პროგრამას, იმატებენ დედოფლისწყაროში - და იქაც აპირებენ ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირებას. დაწესებულება მისი მწირი რესურსით ატარებს სერიოზულ კვლევებს და შედეგების მიხედვით იმატებენ პროგრამებს.

ბევრი ხელშეკრულება აქვთ გაფორმებული მიმწოდებლებთან, დამსაქმებლებთან. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პარტნიორი, რომელიც ბოლოს დაიმატეს, არის მუნიციპალიტეტის გადამამუშავებელი ქარხანა, რომელსაც კადრები სჭირდებათ და ჩაერთვებიან ორივე მიმართულებით, როგორც დუალური, ასევე მოდულური მიდგომებით პროგრამის განხორციელებაში.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, ხომ არ ჰქონდათ კითხვები საბჭოს წევრებს. რადგან დამატებითი შეკითხვები არდასმულა, საბჭოს წევრები გავიდნენ სათათბიროდ.

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ საბჭო მთლიანად იზიარებს ექსპერტთა შეფასებას იმ ნაწილში, სადაც ისინი აფასებენ სტანდარტებს და კომპონენტებს, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია“, როგორც კაჭრეთის, ისე შრომის შემთხვევაში. ნანა ყუფუნიამ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს, საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის 2.3 და 2.4 კომპონენტების ფარგლებში განახორციელონ მონიტორინგი. მან დაწესებულების წარმომადგენლებს ჰკითხა, რა ვადა სჭირდებოდათ ამ კომპონენტების სრულ შესაბამისონაში მოსაყვანად და პასუხის შესაბამისად, განესაზღვრათ ორი თვე.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - კოლეჯი „აისისათვის“ გურჯაანის მინიციპალიტეტის ს. კაჭრეთში „სატყეო საქმის“ საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლებამოსილების საკითხი, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები. მონიტორინგი ჩატარდეს 2 თვის შემდეგ 2.3 და 2.4 კომპონენტების ფარგლებში, დოკუმენტაციის გამოთხოვით.
გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2020 წლის 6 მაისი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 6
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება (ს. კაჭრეთი):
სსიპ - კოლეჯ „აისს“ (ს/კ: 227770800) მიენიჭოს უფლება, გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ კაჭრეთში განახორციელოს დანართით განსაზღვრული „სატყეო საქმის“ საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (დანართი 2).
გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2020 წლის 6 მაისი.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - კოლეჯი „აისისათვის“ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ შრომაში „სატყეო საქმის“ საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლებამოსილების საკითხი, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 6
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება (ს. შრომა):
სსიპ - კოლეჯ „აისს“ (ს/კ: 227770800) მიენიჭოს უფლება, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ შრომაში განახორციელოს დანართით განსაზღვრული „სატყეო საქმის“ საშუალო

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (დანართი3).
გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2020 წლის 6 მაისი.

4. სსიპ - კოლეჯი „მერმისისთვის“ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების უფლების მინიჭ ების საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაწესებულების წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები - დაწესებულების მიერ წარმოდგენილი განაცხადი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა -დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წარუდგინა ექსპერტთა ჯგუფმა: ალინა კუპრავამ (ჯგუფის თავმჯდომარე) და გიორგი ნაჭყეპიამ.
ალინა კუპარავამ აღნიშნა, რომ ვიზიტის მიზანი იყო სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანების საფუძველზე სსიპ -კოლეჯ „მერმისში“ პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი "ვებტექნოლოგიების" საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების უფლების მოპოვების მიზნით ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება.
ვიზიტი განხორციელდა ახალი სტანდარტების შესაბამისად. ექსპერტმა აღნიშნა, რომ ხარვეზი არ დაფიქსირებიულა. დაწესებულებაში 2.4 კომპონენტი შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია“, დანარჩენი კომპონენტები არის „ სრულ შესაბამისობაში“.
ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაიცა შემდეგი რეკომენდაციები:
დაწესებულების დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი მოიცავს შემდეგ ჩანაწერს: პროფესიული სტუდენტის მიერ, იმ მოდულის სწავლის შედეგების ვერ დადასტურების ან დადასტურებაზე არ გამოცხადების შემთხვევაში, რომელიც წარმოადგენს შემდგომი მოდულის წინაპირობას, პროფესიული სტუდენტი შემდგომ მოდულზე იმ პირობით დაიშვება, რომ ის 10 კალენდარული დღის ვადაში დაადასტურებს დაუდასტურებელი მოდულის სწავლის შედეგებს. აღნიშნული სწავლის შედეგების დაუდასტურებლობის შემთხვევაში, მას შეუწყდება პროფესიული სტუდენტის სტატუსი. აღნიშნული ჩანაწერი პროგრამის განხორციელების დაწყების შემდეგ გამოიწვევს სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მოდულზე დაშვების წინაპირობის დარღვევას. შესაბამისად, სასურველია, დაწესებულებამ აღნიშნული ჩანაწერი შეასწოროს ისე, რომ პროფესიული სტუდენტის მიერ, იმ მოდულის სწავლის შედეგების ვერ დადასტურების ან დადასტურებაზე არ გამოცხადების შემთხვევაში, რომელიც წარმოადგენს სხვა მოდულის წინაპირობას, სწავლის შედეგები დაადასტუროს წინაპირობიანი მოდულის დაწყებამდე. დაწესებულებას მოუწევს სასწავლო გეგმის ჩასწორება, რათა წინაპირობების გათვალისწინებით, პროფესიულ სტუდენტებს მიეცეთ საშუალება, დაადასტურონ დაუდასტურებელი შედეგი ან/და საჭიროების შემთხვევაში ისარგებლონ აპელაციის წესით და დაელოდონ შედეგებს, ისე, რომ ხელი არ შეეშალოს სასწავლო პროცესის მიმდინარეობას. სასწავლო პროცესის უწყვეტობის შენარჩუნების მიზნით, დაწესებულებას შეუძლია სასწავლო

გეგმის შემუშავებისას მაქსიმალურად გამოიყენოს ის მოდულები, რომლებსაც არ აქვს წინაპირობები.
ექსპერტმა წარმოადგინა ფოტომასალა, მატერიალური რესურსები. კოლეჯს აქვს სამი A გარემო, სადაც მიმდინარეობს პროგრამის განხორციელება. წარმოდგენილი იყო C გარემოს, ლაბორატორიის, ბიბლიოთეკის, უსაფრთხოებისა და სამედიცინო დახმარების ფოტოები.
როგორც ალინა კუპრავამ აღნიშნა, დაწესებულებას ყველანაირი რესურსი აქვს პროგრამის განხორციელებისათვის. ვიზიტის დროს გასაუბრება შედგა პროგრამის განმახორციელებლებთანაც. კოლეჯმა კონკურსის გზით შეარჩია ეს პირები. ეს პროცესი ორგანიზებულად მიმდინარეობდა და მასში სამინისტროც იყო ჩართული. მათ აქვთ ჩამოყალიბებული ხედვა, თუ როგორ განახორციელებენ ზოგადი განათლების პროგრამის ინტეგრირებულ მოდულებს. მიმდინარეობდა პროგრამის განმახორციელებლების გადამზადება სამინისტროს მიერ. მათ გადამზადების ორი ციკლი უკვე დასრულებული ჰქონდათ და ელოდებოდნენ გადამზადების მესამე ნაწილს.
დარგის ექსპერტმა, გიორგი ნაჭყეპიამ დაამატა, რომ საკმაოდ მოწესრიგებული სიტუაციაა კოლეჯში. ის პირველად იყო ამ კოლეჯში და საკმაოდ კარგი გარემო დახვდა ყველა თვალსაზრისით. მენეჯმენტის კუთხით, ასევე მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და ბიბლიოთეკის თვალსაზრისით ნორმალური სიტუაციაა შექმნილი. ექსპერტებს ასევე შეხვედრა ჰქონდათ პროფესიულ და სხვა პედაგოგებთან. გიორგი ნაჭყეპიას თქმით, ეს პროგრამა ინოვაციურია, მოითხოვს განსხვავებულ ხედვებს. პედაგოგებს გათავისებული აქვთ, რომ მათ მოუწევთ გუნდური მუშაობა. მისი შეფასებით, ეს პროგრამა წარმატებით განხორციელდება.
დაწესებულების ხელმძღვანელმა, ნონა ღუდუშაურმა აღნიშნა, რომ დაწესებულებას ვებტექნოლოგიების პროფესიული პროგრამის განხორციელების 7 წელზე მეტი გამოცდილება აქვს. აქედან გამომდინარე, მათ წლების მანძილზე კარგი ურთიერთობები აქვთ კომპანიებთან ამ მიმართულებით და მათი კურსდამთავრებულების უმეტესი ნაწილი დასაქმებულია. დაწესებულება აცნობიერებს, რომ ინტეგრირებული პროგრამის განხორციელება დღეს დიდი გამოწვევების წინაშე აყენებთ მათ, რადგან მსგავსი რამ პირველად ხდება, მაგრამ ფიქრობს, რომ მზად არიან, როგორც აღჭურვილობის, ასევე ადამიანური რესურსის თვალსაზრისით და რომ კარგად გაართმევენ თავს, თუ მიეცემათ ამ პროგრამის განხორციელების უფლება.
ალინა კუპრავამ დაამატა, რომ ნონა ღუდუშაური ერთ-ერთი ყველაზე მოწესრიგებული დირექტორია, რომ როცა ვიზიტზე მიდიან, დოკუმენტის გამოთხოვა დროის ფაქტორთან არასდროს არის დაკავშირებული, დაწესებულება მოწესრიგებული ხვდებათ თავისი ადმინისტრაციული პერსონალით და მზად არის სიახლეების მიღებისათვის.
საბჭოს თავმჯდომარემ ექსპერტებს კითხვით მიმართა: კოლეჯს სტუდენტების რაოდენობად მოთხოვნილი აქვს 40 და პრობლემას ხომ არ ხედავენ ამ კუთხით, რაზეც ექსპერტმაც და დაწესებულების წარმომადგენელმაც უპასუხეს, რომ არსებობს შესაბამისი აუდიტორიებიც და გარემოც და შეუძლიათ სტუდენტების ორ ცვლაში მიღება, რადგან აუდიტორიების რაოდენობა ამის საშუალებას იძლევა.
საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, ხომ არ ჰქონდათ კითხვები საბჭოს წევრებს. დამატებითი შეკითხვები არ დსამულა, და საბჭოს წევრები გავიდნენ სათათბიროდ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი სსიპ - კოლეჯი „მერმისისთვის“ "ვებტექნოლოგიების" **საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლებამოსილების საკითხი, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები.**
წაიკითხეს პროგრამის პარამეტრები, რაც დაადასტურეს ექსპერტებმა და დაწესებულებამაც.
და ასევე საკითხი, რომ გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2020 წლის 6 მაისიდან.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
სსიპ - კოლეჯ „მერმისს“ (ს/კ: 209467646) მიენიჭოს უფლება, განახორციელოს დანართით განსაზღვრული „ვებტექნოლოგიების“ საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (დანართი 4).
გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2020 წლის 6 მაისი.

სხდომა დახურულად გამოცხადდა 16:56 საათზე.

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ყუფუნია ნანა

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ჩაგელიშვილი მარიამ

დანართი 1

პროგრამის სახელწოდება	სარკინიგზო გადაზიდვები
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია რკინიგზის ოპერირებაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	1041
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ. თბილისი, თემქის დასახლება, XI მკ.რ. III კვ. ნაკვეთი 01/10
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	დუალური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	60
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს	15
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	143
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	90
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	173
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	120

დანართი 2

პროგრამის სახელწოდება	სატყეო საქმე
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია სატყეო საქმეში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0821
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	გურჯაანის მუნიციპალიტეტი, სოფელი კაჭრეთი
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	30
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს	30
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	101
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	48
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	131
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	78

დანართი 3

პროგრამის სახელწოდება	სატყეო საქმე
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია სატყეო საქმეში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0821
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი, სოფელი შრომა
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	30
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს	30
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	101
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	48
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	131
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	78

დანართი 4

პროგრამის სახელწოდება	ვებტექნოლოგიები
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია ვებტექნოლოგიებში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0612
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ. თბილისი, დ. გურამიშვილის ჩიხი №9ა
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	40
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს	40
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	114
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	63
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	144
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	93